სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/57 23.08 2022 წ.

მაგისტრანტობის კანდიდატთა სარეგისტრაციო საბუთების ნუსხის დამტკიცების, სარეგისტრაციო ვადებისა და მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდის თარიღის განსაზღვრის შესახებ

2022-2023 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა წარმოაგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ (განცხადება ივსება ადგილზე);
2. პირადობის მოწმობის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;
3. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;
4. საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მიმდინარე წლის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ ცნობას შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის დასრულებისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. კონკურსის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს დიპლომის დანართის ასლი, ან ნიშნების ფურცელი;
5. სამაგისტრო საგამოცდო ბარათი;
6. ორი ფერადი ფოტოსურათი – 3X4;
7. უცხოენოვან სამაგისტრო პროგრამეზე ჩაბარების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პროგრამაზე სწავლების შესაბამისი ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი. კერძოდ: ბრიტანეთის საბჭოს სერთიფიკატი, გოეთეს ინსტიტუტის სერთიფიკატი, გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი, ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ გაცემული ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი - (DELF), (TCF), აწსუ ენათა კურსების სერთიფიკატი.
8. მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის - 30 ლარის გადახდის ქვითარი; იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდას აბარებს ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 50 ლარის გადახდის ქვითარი (საბანკო რეკვიზიტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების

დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057267).

9. მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტი (იხილეთ დანართი № 1)ю

საბუთების მიღება იწარმოებს 2022 წლის 8 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო კომისიაში. მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული (პირველი) კორპუსი, II სართული, ოთახი № 1211, 10 საათიდან 17 საათამდე, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა.

მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდება 2022 წლის 24 და 25 სექტემბერს.
სააპელაციო განცხადებები მიიღება სარეგისტრაციო კომისიაში 2022 წლის 26 სექტემბერს.
სააპელაციო განცხადებების განხილვა გაიმართება 2022 წლის 27 სექტემბერს.
ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა იწარმოებს 28, 29 და 30 სექტემბერს.

მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც დადგენილ ვადაში არ გააფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტთან, მასზე ჩარიცხვის ბრძანება არ დაიშვება.

საფუძველი: უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესი

რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი — პროფ. იმერი ბასილაძე

ფაკულტეტი	სამაგისტრო პროგრამა	სწავლის საფასური	რაოდენობა	უცხოენა
აგრარული	აგროეკოლოგია	2000	12	
აგრარული	ლანდშაფტური არქიტექტურა	2000	10	
აგრარული	ტურიზმი	2250	12	
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	ბიზნესის ადმინისტრირება	2250	50	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა	2250	25	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	ეკონომიკა	2250	20	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	2250	11	ინგლისური
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	ჟურნალისტიკა	2250	5	
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	სამართალი	2250	50	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა	საჯარო მმართველობა	2250	25	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	ბიოლოგია	2000	5	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგიები)	2250	5	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	კომპიუტერული მეცნიერებები	2250	20	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	მათემატიკა	2000	20	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები	2000	10	
მედიცინის	ბიოსამედიცინო ინჟინერია (ერთობლივი)	2250	5	
მედიცინის	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა	2250	10	
მედიცინის	ფარმაცია	2250	5	
პედაგოგიური	განათლების მეცნიერებები	2250	25	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)
საინჟინრო-ტექნიკური	ელექტროენერგეტიკა	2250	15	
საინჟინრო-ტექნიკური	ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი	2250	15	
საინჟინრო-ტექნიკური	მშენებლობა	2250	20	
საინჟინრო-ტექნიკური	სატრანსპორტო ლოჯისტიკა	2250	5	
საინჟინრო-ტექნოლოგიური	გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია	2000	15	
საინჟინრო-ტექნოლოგიური	კოსტიუმის დიზაინი	2000	5	
საინჟინრო-ტექნოლოგიური	სასურსათო ტექნოლოგია	2000	15	
საინჟინრო-ტექნოლოგიური	ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია	2000	10	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ამერიკისმცოდნება	2250	20	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები	2000	7	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	აღმოსავლური ფილოლოგია	2000	15	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	გერმანული ენა და ლიტერატურა	2000	10	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია	2000	10	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ევროპისმცოდნეობა	2250	5	(ინგლისური, გერმანული ან ფრანგული)
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ინგლისური ენა და ლიტერატურა	2250	15	

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	კლასიკური ფილოლოგია	2000	5	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ლინგვისტიკა	2000	10	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	რუსული ენა და ლიტერატურა	2000	5	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	საქართველოს ისტორია	2000	10	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ფილოსოფია - რელიგიის კვლევები	2000	10	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ფრანგული ენა და ლიტერატურა	2000	5	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ქართველური ენათმეცნიერება	2000	15	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ქართული ლიტერატურა	2000	15	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ხელოვნების თეორია	2250	7	